ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს -

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის

ოქმი № 6

ქალაქი ბათუმი **25.03.2022**

სხდომას ესწრებოდა მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

1. **ნინო ინაიშვილი** - საზოგადოება „ბათომი“-ს დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე; განათლების საერთაშორისო ცენტრის ბათუმის ოფისის ხელმძღვანელი; (ონ ლაინ)
2. **მაყვალა კვირიკაძე** - შპს „მაკო“-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე;
3. **თამაზ თურმანიძე** - შპს „რუსული რეგისტრი ვესტჯეორჯია“-ს დირექტორი; აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავთა ასოციაციის თავმჯდომარე;
4. **რამინ მაჭარაშვილი** - ახალგაზრდული ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ დამფუძნებელი, გამგეობის წევრი;(ონ ლაინ)
5. **დავით ქობულაძე** - შ.რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ჯანდაცვის ფაკულტეტის მედიცინის მე-6 კურსის სტუდენტი;
6. **მანუჩარ ლორია** - სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის მოადგილე;
7. **თამილა მეიშვილი** - დრამისა და კინოს მსახიობი;
8. **რუსუდან შავიშვილი** - აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი;
9. **თამარ გუდავა** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსი;

დღის წესრიგი

განსახილველი საკითხები:

საკითხი 1. ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქუჩა 88-ში არსებული შენობის წინ მდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის თაობაზე. წარმოდეგენილი ესკიზური პროექტის მიხედვით.

საკითხი 2. ბათუმის ერთ-ერთი ქუჩისთვის ან სკვერისთვის მერი შერვაშიძის სახელის მინიჭების საკითხის განხილვა და მოსაზრების მერისთვის წარდგენა.

საკითხი 3. ტურისტული ატრაქციონის ზიპლინის ოწყობა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში.

საკითხი 4. გასაბერი წყლის პარკის მოწყობა ბათუმში.

საბჭოს წევრებს საბჭოს სხდომის შემდეგ დაეგზავნათ დოკუმენტაცია დასმული საკითხების შესახებ, საკითხების ონლაინ გაცნობის შემდეგ, მოსაზრებები გამოაგზავნეს იმ წევრებმაც, რომლებიც არ ესწრებოდნენ სხდომას.

სხდომაზე, მე-2 საკითხის შესახებ, ბათუმის ერთ-ერთი ქუჩისთვის ან სკვერისთვის მერი შერვაშიძის სახელის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით, ერთ-ერთ დასაშვებ ლოკაციად სხდომაზე განვიხილეთ მწერალთა სახლის წინ ე.წ. მზის საათის სკვერი. რომელის შესახებაც წევრების მოსაზრებებს გიზიარებთ ოქმში.

<u>რამინ მაჭარაშვილის მოსაზრება</u>

საკითხი 1. ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქუჩა 88-ში არსებული შენობის წინ მდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის თაობაზე. წარმოდეგენილი ესკიზური პროექტის მიხედვით.
არ ვარ თანახმა √
მოსაზრება: წარმოდგენილი პროექტი ითვალისწირებს საპარკინგე ადგილების (მათ შორის შშმ პირთათვის განკუთვნილი საპარკინგე ადგილის) გაუქმებას, რაც ბათუმში არსებული მუნიციპალური საპარკინგე ადგილების სიმცირის გამო (განსაკუთრებით შშმ პირთა საპარკინგე ადგილების ნაკლებობის ფონზე) დამატებით პრობლემებს შეუქმნის ავტომობილის მძღოლებს. ეს განსაკუთრებით უარყოფითად იმოქმედებს შშმ პირ მძღოლებზე, რომლებიც ვეღარ შეძლებენ ბათუმი მოლთნ ახლოს მანქანის გაჩერებას რაც ასე მნიშვნელოვანი მათთვის.
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები: ა) მოლთან არებეული საპარგინგე სივრცის საფრთხის შემცვლელობაზე არ არის გამყარებული რაიმე მტკიცბეულებით მაგ. სტატისტიკური მონაცმებით, კვლევით და სხვა. ბ) ასევე არასწორადაა მითითებული, რომ ბათუმი მოლის კერძო ავტოსადგომი უზრუნველყოფს გაუქებული 7 საპარკინგე ადგილის კომპენსირებას, რადგან ბათუმი მოლის ავტოსადგომი არის კერძო და საათობრივად ფასიანი (რასაც თვითონვე განმცხადებელი ადასტურებს) რაც არამარტო საპარკინგე სერვისს გააძვირებს მოლის კლიენტთათის, არამედ გადატვირთავს კიდეც მას, რაც ისედაც დეფიციტურ ადგიელებს კიდევ ფრო დეფიციტურს გახდის.

გარდა ამისა არ არიოს ცნობილ იმოლის კერძო ავტოსადგომზე არის თუ არა შშმ პირთა საპარკინგე ადგილები და აკონტროლებენ თუ არა ამ ადგილების თავისუფალ მდგომაროებაში ყოფნას და შესაძლო დარღვევებზე რეაგირებას მაგ. საჯარიმო ავტოსადგომზე გადაყვანას.

დამატებით ავღნიშნავ, რომ მოლის ავტოსადგომის შესასვლელში დგას დაცვის თანამშრომლები, რომლებიც ხშირად უარს ეუბნებიან ოლსი მისულ კლიენტებს იმ არგუმენტით, რომ ადგილები დაკავებულია.

ასევე არ არის გარკვეული მოლის კერძო საპარკინგე ადგილიდან შესაძლებელია უ არა შშმ პირის დაუბრკოლებლად შესვლა მოლში.

განმცხადებლის მითითება, რომ ავტოსადგომის ნაცვლად მოეწყობა დასასვენებელი სივრცე სადაც განთავსდება სკამები და მაგიდები ვერ ჩაითვლება საზოგადოებრივი ინტერესების

მიზნით განხორციელებულ ღონისძებად, რადგან არსებული სივრცე ახლოსაა გზასთან, რომელიც არის მცირე და დადაც მანქანის გამონაბოლქვთან ერთდ საფრთხის შემცვლელია შესაძლო ავტოსაგზაო შემთხვებები რომელიც საფრეს შუქმნის მაგიდა სკამებთან მყოფ მოქალაქეებს.

გარდა ამისა შემოთავაზებული პროექტი არ შეიცავს ე.წ. დასასვენებელი სივრცის შშმ პირთათვის ადაპტირების ალემენტებს, როემლიც გასნაზღვრულია საქართველოს მთავრობის

2020 წლის 04 დეკემბრის N 732-ე დადგენილენბით გასნაზღვრულ მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხვნებს.

ამიტომ წარმოდგენილი პროექტი მორგებულია მხოლოდ კონკრეტული კომერციული ორგანიზციის ინტერესს და უგულებელყოფილია საზოგადოებრივი ინტერესი, მათ შორის შშმ პირთათვის მისაწვდომი და ადაპტირებული გარემოს/სერვისრბეის შექმნის ვალდებულების შესახებ. შესაბამსიად ამ პროექტს მხარს ვერ/არ დავუჭერ.

საკითხი 2. ბათუმის ერთ-ერთი ქუჩისთვის ან სკვერისთვის მერი შერვაშიძის სახელის მინიჭების საკითხის განხილვა და მოსაზრების მერისთვის წარდგენა.
თანახმა ვარ √
მოსაზრება: ვფიქრომ წარმოდგენილ ინიციატივა, ბათუმის ერთ-ერთი სკვერისთვის, კერძოდ მწერალთა სახლის წინ ე.წ. მზის საათის სკვერისთვის მერი შერვაშიძის, როგორც მოდის სფეროში ერთ-ერთი პირველი ქართველი ქალის სახელის მინიჭების შესახებ, რომელმაც ამ სფეროსდი დიდი აღიარება მოიპოვა ხელს შეუწყობს მითითებულ ლოკაცაზე სხვადასხვა შემეცნებითი და კულტურული ღონისძიბების გამართვას, რადგან აღნიშნული პირი ლეგენდის თანახმად დაკავშირებულია გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებასთანც და ამ მხრივ ეს ქალაქ ბათუმის ცნობადობის გაზრდასაც შეუწყობს ხელს. შესაბამისად თანახმა ვარ მხოლოდ აღნიშნული სკვერისთვის მერი სერვაშიძის სახელის მინიჭებაზე და არა რომელიმე ქუჩისთვის, რადგან ამ ლოკაციაზე არის მწერალთა სახლი რაც თემატურად აკავშრებს ერტმანეთთან პოეზიასა და მერი შერვაშიძს სახელს.
საკითხი 3. ტურისტული ატრაქციონის ზიპლინის მოწყობა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში (ოკუმენტები გეგზავნებათ ფაილში)
არ ვარ თანახმა √
მოსაზრება: ზოგადად ზიპლინის მოწყობას ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ვემხრობი მაგრამ არა ამ პირობებით, რაც აშკარად არ არის ბათუმის მუნიციპალიტეტის ინტერესებზე მორგებული, რადგან ინვესტივციის მოცულობა (300 ათასი ლარი) არის ძლაიან მცირე იმისთვის რომ 10 წლიანი ვადით გადაეცეს კონკრეტულ პირს მისი მოწყობის უფლება. გარდა ამისა მცირეა მხოლოდ შემოსავლის 7% -ის გადახდა ბოტანიკური ბაღისთვის, სადაც ყოველწლიურად ასობით ადამიანი შედის. პრობლემურია ასევე ამ ატრაქციის დადგმის აუქციონის წესით გარეშე მიყიდვაც, რაც ასევე არ შედის მინიიცპალიტტეის ინტერტესში, რადგან შესაძლოა სხვა პირებმა მეტი გადაიხადონ მის მოწყობაში.

რაც ყველაზე მთავარია, არ არის მითითება იქნება თუ არა იგი მისაწვდომი შშმ პირებისთვის, რომლის ვალდებულებაც ცხადია ზიპლაინის დამდგმელ კომპანიას აქვს, რადგან ეს სერვისი არის საჯარო და ყველა პიირსტვის, მათ შორის შშმ პირებისთვისაც უნდა იყოს მისაწვდომი.

საკითხი 4. გასაბერი წყლის პარკის მოწყობა ბათუმში (დოკუმენტები გეგზავნებათ ფაილში)
არ ვარ თანახმა √
მოსაზრება : წარმოდგენლი იდეების სარგებლიანობა არ არის სათანადოდ დასაბუთებული. არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის შეფასება (კვალიფიციური კვლევა) თუ რა გავლენას მოახდეს აღნშნული პორექტის ამ სახით განხორციელება პარკსა და ტბაზე, მის ეკოსისტემაზე.
ასევე პარკში დამატებით სხვადასხვა ნაგეობების განთავსება, რომელიც ასევე ამავე პროექტით იგეგმება ,,შთანთქავს'' რეკრიაციული ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს რაც კიდევ უფრო შეამცირებს დასასვენებლი ადგილების მოცულობას პარკში.

ზოგადად აუცილებელია რომ მსგავსი ინიციატივები უნდა შეთანხმდეს არამარტო მხოლოდ ქალაქის მთავარ არქიტექტორთან ან მერიის შესაბამის სამსახურებთან, არამედ მოსახლეობასთან და შესაბამის პროფესიულ წრეებთა, მათ შორის ეკოლოგებთნ, გარემოს დაცვის სხვა სპეციალისტებთან და ასევე ბატმის გენგეგმაზე მომუშავე გუნდთან (ისე არ მოხდეს, რომ აღნიშნული ინიციატივა ეწინააღმდეგებოდეს გენგეგმას და გარემოს დაცვის ინტერესებს).

ცნობილია ასევე, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ემხრობა პარკისთვის დასასვენებელი, განტვირთვის ფუნქცის გაძლიერებას, სადაც მოსახლეობას საშუალება ექნება მწვანე და ეკოლოგიურ სივრცეში დაისვენოს და ისეირნოს. გარდა ამისა წარმოდგენილი პორექტი არ მოიცავს მითითებას არსებული ობიექტების შშმ პირტტის მისაწვდომობის შესახებ.

ამიტომ წარმოდგენილ ინიციატივას, შესაბამისი ეკოლოგიური, ფინასური და სხვა სახის შეფასების დოკუმენტების არსებობის გარეშე მხარს ვერ დავუჭერ, მიუხედავად იმისა მოქმედი კანონმდბლობა ამას როგორ ითვალისწინებს.

ნათია აფხაზავას მოსაზრება

საკითხი 1. ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქუჩა 88-ში არსებული შენობის წინ მდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის თაობაზე. წარმოდეგენილი ესკიზური პროექტის მიხედვით. (საფუძველი - წერილობითი მომართვა)
<u>არ ვარ თანახმა V</u>
მოსაზრება : აღნიშნული პროექტი ითვალისწირებს სკამი და მაგიდების დადგმას, რაც თავისთავად მოიცავს გარე ვაჭრობას და უკვე მოლში არსებული კვების ობიექტების დამხარე ტერიტორიად ათვისებას. სოციალურ პროექტად შეფუთული პროექტი არ წარმოადაგენს საზოგადობრივ ინტერეს არამედ კერძო კომპანიის ინტერესებზე არის მორგებული. მომხრე ვარ გაუქმდეს გარე პარკინგი და კეთილმოეწყოს ტერიტორია (გამწვანება, განათება), გაფართვდეს ტროტუარი და არა საკვები ობიექტებისთვის განკუთვნილის

მაგიდიანისკამები, აქვე დავსძენ რომ აღნიშნული ტეირტორია ძალიან ახლოს არის გზასთან და ვერ მოვიაზრებ დასასვენებელ სივრცედ.
საკითხი 2. ბათუმის ერთ-ერთი ქუჩისთვის ან სკვერისთვის მერი შერვაშიძის სახელის მინიჭების საკითხი.
მოსაზრება: არ მაქვს მოსაზრება, ხმის მიცემისგან თავს შევიკავებ.
საკითხი 3. ტურისტული ატრაქციონის ზიპლინის ოწყობა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში (
<u>არ ვარ თანახმა V</u>
მოსაზრება: მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი ატრაქციები საჭიროა ბოტანიკურ პარკში, ვეწინააღდეგები პროექტს შემდეგი მიზეზების გამო:
1. ტერიტორიის 10 წლით გადაცემა არამიზნობრივად მიმაჩნია , პლუს აუცილებელია აუქციონი;
2. შემოსავლის 7 % ჩარიცხვა ბოტანიკურ ბაღზე არის მინიმალური და ძალიან დაბალი ზღვარი.
საკითხი 4. გასაბერი წყლის პარკის მოწყობა ბათუმში
<u>არ ვარ თანახმა V</u>
მოსაზრება: წარმოდგენლი იდეები დამაზარალებელია როგორც ბათუმს ბულვარისთვის ასევე პარკისთვს. კატეგორიულად არ შეიძლება ცენტრალურ პარკში ტბაში ეგეთი ინტერვენცია, მით უფრო დამხმარე ნაგეობების მოწყობა. იგივე ბათუმის პლიაჟის ტერიტორიაზეც. აღნიშნული ინიციატივები უნდა შეთანხმდეს არა ქალაქის მთავარ არქიტექტორთან (რომელიც არ გვაყვს) არამედ მოსახლეობასთან,პარაკით მოსარგებლე ადაამიანებთან პროფესიულ წრეებთა (ალბათ გახსოვთ რამდენი პრობლემა ქონდა ტბას) და ბულვარის შემთხვევაში ემატება ბულვარის ადმინისტრაცია და ასევე გენგეგმაზე მომუშავე გუნდთან. და ბოლოს გასულ წელს წარდგენილი იქნა ინიციატივა რომ მომზადეს პარკის განაშენიანების გეგმა, ასევე ჩატარადა საჭიროებების კვლევაც, რომელშიც არანაირ თანხვედრაშია აღნიშნული ინიციატივა

ნინო ინაიშვილი: მოსაზრება

საკითხი 1. ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქუჩა 88-ში არსებული შენობის წინ მდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის თაობაზე. წარმოდგენილი ესკიზური პროექტის მიხედვით.
<u>თანახმა ვარ</u>
საკითხი 2. ბათუმის ერთ-ერთი ქუჩისთვის ან სკვერისთვის მერი შერვაშიძის სახელის მინიჭების საკითხის განხილვა და მოსაზრების მერისთვის წარდგენა. ერთ-ერთ დასაშვებ ლოკაციად განვიხილეთ მწერალთა სახლის წინ ე.წ. მზის საათის სკვერი.
<u>არ ვარ თანახმა</u>
<u>**მოსაზრება:**</u>
მერი შერვაშიძე არანაირი ფიგურა არ არის ბათუმის ისტორიაში, ამის საპირისპიროდ ბათუმის ისტორიაში არიან გამორჩეული პიროვნებები, მათ შორის ქალები, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს, მაგ. ქეთევან ჟურული.
საკითხი 4. ტურისტული ატრაქციონის ზიპლაინის მოწყობა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში (დოკუმენტები გეგზავნებათ ფაილში)
<u>**თანახმა ვარ**</u>
საკითხი 5. გასაბერი წყლის პარკის მოწყობა ბათუმში (დოკუმენტები გეგზავნებათ ფაილში)

<u>კატეგორიულად არ ვეთანხმები</u>

<u>მოსაზრება</u> - საჯარო სივრცის, რომელიც ისედაც გადატვირთულია კომერციული ობიექტებით, ზედმეტად კომერციალიზაციას; ამით იზღუდება რეკრეაციული და დასვენების სივრცე და თავისუფალი ადგილი, სადაც ბავშვები, ახალგაზრდები და ასაკოვანი მოქალაქეები ფინანსური რესურსის გარეშე დაისვენებენ. მერიის პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს ეკონომიკური თანასწორობა ისეთ საჯარო სივრცეში, როგორიცაა ურბანული პარკი. ყველა კვლევის მიხედვით, ქვეყანაში და მათ შორის ჩვენს ქალაქშიც, საშუალო და საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე მოქალაქეეები არიან და მათ აქვთ უფლება საჯარო სიკეთეებით ისარგებლონ, ამით კი ეს საჯარო სიკეთე კიდევ უფრო შეუმცირდებათ.

დავით ქობულაძის მოსაზრება

საკითხი 1. ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქუჩა 88-ში არსებული შენობის წინ მდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის თაობაზე.

<u>**მოსაზრება:**</u> მიმაჩნია, რომ ტროტუართან არსებული სივრცე არ არის რელევანტური დასვენებისთვის განკუთვნილ ადგილად, შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: 1) გზასთან სიახლოვე, რაც რისკს უქმნის მოსახლეობის უსაფრთხოებას. კერძოდ, აღნიშნულ ესკიზურ პროექტში არ არის ნაჩვენები ხელოვნური წინაღობა, რაც ადამიანს საგზაო საფრთხისგან დაიცავს. 2) ჭარბი გამონაბოლქვი, აუცილებლად უარყოფითად იმოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ამიტომ, პარადოქსულად მიმაჩნია საპარკინგე ადგილას გამწვანებული სივრცის არსებობა სხვადასხვა ტრანსპორტის განუწყვეტილი მოძრაობის გამო. 3)ასევე, სავარაუდოა, სკამებისა და მაგიდების გამოყენება კომერციული მიზნებისათვის, კერძოდ, ბათუმი მოლში არსებული კვების ობიექტების დამხმარე ტერიტორიად. ამიტომ, საზოგადოებრივ ინტერესებზე ნაკლებად მორგებულ პროექტად მიმაჩნია და ვფიქრობ, რომ საჭიროებს კორექტირებას.

საკითხი 2. ბათუმის ერთ-ერთი ქუჩისთვის ან სკვერისთვის მერი შერვაშიძის სახელის მინიჭების საკითხის განხილვა და მოსაზრების მერისთვის წარდგენა.

მოსაზრება: სასურველია მწერალთა სახლის წინ ე.წ მზის საათის სკვერისთვის ქალბატონ მერი შერვაშიძის სახელის მინიჭება. ეს ქალბატონი თავად გალაქტიონ ტაბიძის მუზა და ერთ-ერთი პირველი ქართველი იყო, რომელიც კოკო შანელის მოდელი გახდა. ქალბატონ მერი შერვაშიძის სახელობის სკვერის ადგილას კი შესაძლებელია ჩატარდეს კულტურული, შემეცნებითი და ლიტერატურული აქტივობები.

საკითხი 3. ტურისტული ატრაქციონის ზიპლაინის მოწყობა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში (დოკუმენტები გეგზავნებათ ფაილში)

მოსაზრება: ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ზიპლაინის არსებობა კარგი ბიზნეს იდეა. იმის გათვალისწინებით, რომ ზაფხულის პერიოდში უამრავი ტურისტი სტუმრობს ამ ულამაზეს ადგილს. თუმცა, იმ პირობებით, რასაც შპს ზიპლაინ კაუკასუსი გვთავაზობს არ არის მორგებული მუნიციპალიტეტის ინტერესებზე კონრეტული ფაქტორებიდან გამომდინარე, კერძოდ, 10 წლით ტერიტორიის გადაცემა არ არის მიზნობრივი და ვფიქრობ, ვადა უნდა შემცირდეს. ასევე, 7%-იანი სარგებელი მცირეა ბათუმის ბოტანიკური ბაღისთვის და საჭიროა

პროცენტული მაჩვენებლის გაზრდა შპს ზიპლაინ კაუკასუსისგან. მხოლოდ სხვა პირობების შემოთავაზებისას, შესაძლებელია კომპანიის ინტერესების გათვალისწინება და აღნიშნული ლოკაციების გადაცემა აუქციონის წესით.

<u>საკითხი 4.</u> გასაბერი წყლის პარკის მოწყობა ბათუმში (დოკუმენტები გეგზავნებათ ფაილში)

თანახმა ვარ წყლის გასაბერი ნაგებობის კომპლექსის პლაჟზე მოწყობის;

არ ვარ თანახმა სრული სტანდარტული ზომის ვეიკ-პარკის გაკეთებას ნურიგელის ტბაზე;

<u>მოსაზრება:</u> ვეიკ-პარკის ნურიგელის ტბაზე არსებობა არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. ცენტრალურ პარკის ტბაში ამ ტიპის გასართობი საშუალება და მიმდებარე ტერიტორიაზე: სათადარიგო ნაწილების, გასაქირავებელი აღჭურვილობის, კაბინების, და ა.შ არსებობისას, პარკი დაკარგავს რეკრეაციული ტერიტორიის ნაწილს, ეს კი შეზღუდავს მოსახლეობისთვის სრულფასოვან დასვენებას. პლუს ამას საკითხის შეთანხმება აუცილებელია ბათუმის გენგეგმაზე მომუშავე პირებისთვის. შესაბამისად, აღნიშნული წყლის გასაბერი პარკი არ მიმაჩნია მიზანშეწონილად ნურიგელის ტბაზე. თუმცა, მიუხედავად ამისა, მომხრე ვარ ბათუმის ლუნაპარკსა და სკეიტპარკის ლოკაციის ადგილას წყლის გასაბერი ნაგებობის არსებობის, რახან ადგილობრივი მოსახლეობისა და განსაკუთრებით, ტურისტებისთვის ეს ძალიან კარგი გასართობი საშუალება იქნება, რაც კიდევ მეტ პოპულარიზაციას გაუწევს ამ შესანიშნავ ტურისტულ ქალაქს. ამასთანავე, ინვესტორის მიერ გათვალისწინებულია უსაფრთხოების სტანდარტები, დამზადების უახლესი ტექნოლოგია და მის უმაღლეს ხარისხზე პასუხისმგებლობა. ამიტომ, დანართი 1-ში წარმოდგენილი 1-ილი ინიციატივა მისაღებია, ხოლო მეორე ინიციატივას კი მხარს არ ვუჭერ.

თამარ გუდავას მოსაზრება:

საკითხი 1. ქალაქ ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქუჩა 88-ში არსებული შენობის წინ მდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის თაობაზე.

<u>მოსაზრება:</u> ვფიქრობ, პროექტი იმ ფორმით როგორიც წარმოდგენილია, არა მგონია იყოს რელევანტური და ალბათ ხელისშემშლელი იქნება „ბათუმი მოლის“ ცენტალური შესასვლელისთვის ხალხის თავმოყრის გამო. ასევე გზის პირას უსაფრთხოების მეტი პირობებია შესაქმნელი. კაფის პერსონალის მუდმივი მოძრაობა ტროტუარზე, კაფის შიდა სივრციდან ტროტუარის გადმოღმა არსებულ სივრცეებამდე, მუდმივი დისკომფორტის შემქმნელი იქნება ტროტუარზე ფეხით მოსიარულეებისათვის. ტროტუარი ისედაც ძალიან დატვირთულია ნებისმიერი სეზონის დროს.

საკითხი 2. ბათუმის ერთ-ერთი ქუჩისთვის ან სკვერისთვის მერი შერვაშიძის სახელის მინიჭების საკითხის განხილვა და მოსაზრების მერისთვის წარდგენა.

მოსაზრება: დიდი ხანია ქალაქში, საზოგადოებაში არსებობს აზრი, რომ მერი შერვაშიძის, როგორც ბათუმელის, გალაკტიონის მუზის და ევროპაში ცნობილი ქართველი ემიგრანტის სახელი მინიჭებოდა რომელიმე ფუნქციურ ადგილს. მწერალთა სახლის წინ, ე.წ. მზის საათის სკვერი ისედაც აქტიური ადგილია ლიტერატურული ღონისძიებებისთვის. ამიტომ, ვფიქრობ მერი შერვაშიძის სახელი უფრო ცნობადს და აქტიურს გახდის ამ სკვერს.

საკითხი 3. ტურისტული ატრაქციონის ზიპლაინის მოწყობა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში.
მოსაზრება: ვფიქრობ, ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ზიპლაინის მოწყობა კარგი იდეაა. თუმცა პროექტის პირობები მეტად უნდა იყოს მორგებული ქალაქის ინტერესებზე და უნდა იყოს მეტად შემოსავლიანი ქალაქის ბიუჯეტისთვის.

საკითხი 4. გასაბერი წყლის პარკის მოწყობა ბათუმში.
მოსაზრება: ვფიქრობ, წყლის გასაბერი ნაგებობის კომპლექსი მიზანშეწონილია მოეწყოს პლაჟზე. ცენტრალური პარკის ტბაში და ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ვეიქ პარკის ფუნქციონირებისთვის საჭირო აღჭურვილობა, ასევე მისი ფუნქციური დატვირთვა დაიკავებს პარკის გარკვეულ ნაწილს, რაც შეიძლება დისკომფორტის შემქმნელი პირობა აღმოჩნდეს პარკის დამსვენებლებისთვის. პარალელურად, ტბის ხელოვნურად დაბინძურების ალბათობაც დიდია. ამიტომ ვეიკ პარკი უმჯობესია მოეწყოს პლაჟზე, ამ ტიპის გასართობი კომპლექსის ყველა სტანდარტის დაცვით.

მრჩეველეთა საბჭოს სხვა წევრებთან დისკუსიის დროს წევრების უმეტესობამ გაიზიარა საკითხებთან დაკავშირებით შემდეგი მოსაზრებები:

პირველი საკითხის თაობაზე - რეკრეაციული ზონა უნდა იყოს უფრო მეტად უსაფრთხო და მეტად საზოგადოებრივ ინტერესებზე მორგებული.

მეორე საკითხთან დაკავშრებით საბჭოს წევრების უმეტესობა დაეთანხმა აჭარის მწერალთა სახლის წინ. ე.წ. მზის საათის სკვერს დაერქვას მერი შერვაშიძის სახელი.

მესამე საკითხი, ზიპ ლაინის მოწყობის თაობაზე, საბჭოს წევრები იზიარებენ აზრს, რომ პროექტი მისი პირობებით, მეტად მორგებული უნდა იყოს ბოტანიკური ბაღის და ქალაქის ინტერესებზე.

მეოთხე საკითხის თაობაზე საბჭოს წევრების უმრავლესობა იზიარებს აზრს, რომ ცენტრალურ პარკში, ნურიგელის ტბაზე გასართობი ატრაქციის მოწობა შეიძლება ხელისშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდეს პარკის ფუნქციონირებისთვის, ამიტომ ვეიკ პარკი უმჯობესია მოეწყოს პლაჟზე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ქ. ბათუმი

სარეგისტრაციო ფურცელი

მრჩეველთა საბჭოს წევრები: 25.03.2022

N	სახელი და გვარი	პოზიცია	ხელმოწერა
1	აფხაზავა ირმა	წევრი	
2	აფხაზავა ნათია	წევრი	—
3	გუდავა თამარ	თავმჯდომარე	
4	თურმანიძე თამაზ	წევრი	
5	ინაიშვილი ნინო	წევრი	ონ ლაინ
6	კვირიკაძე მაყვალა	წევრი	
7	ლორია მანუჩარ	წევრი	
8	მაჭარაშვილი რამინ	თავმჯდომარის მოადგილე	ონ ლაინ
9	მეიშვილი თამილა	წევრი	
10	ნაკაშიძე ლაშა	წევრი	—
11	ქათამაძე ციური	წევრი	
12	ქობულაძე დავით	წევრი	
13	შავიშვილი რუსუდან	წევრი	
14	შერვაშიძე ალექსანდრე	მდივანი	